

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

აქტივები	შენ.	31/12/2023	31/12/2022
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	1,061,718	730,784
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,273,243	1,401,143
მარაგები	7	375,418	378,532
სხვა მიმდინარე აქტივები			
სულ მიმდინარე აქტივები		2,710,379	2,510,459
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	12,700,788	13,084,608
არამატერიალური აქტივები	9	31,407	35,332
სულ გრძელვადიანი აქტივები:		12,732,195	13,119,940
სულ აქტივები		15,442,574	15,630,399
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,461,388	1,215,031
სულ მიმდინარე ვალდებულებები:		1,461,388	1,215,031
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	11	18,840,950	18,840,950
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(4,872,518)	(4,438,337)
რეზერვი	11	12,754	12,754
სულ კაპიტალი		13,981,186	14,415,367
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		15,442,574	15,630,399

გენერალური დირექტორი:

ზაზო ზაბახიძე

ფინანსური დირექტორი:

ლალი ცუხიშვილი

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

	შენ.	2023 წ.	2022 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	7,402,295	6,935,852
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(5,468,786)	(4,811,852)
საერთო მოგება:		1,933,509	2,124,000
სხვა შემოსავლები	13	100,730	55,457
განაწილების ხარჯები		(1,975,088)	(1,715,821)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(491,416)	(423,722)
სხვა ხარჯი		(1,916)	(3,591)
საოპერაციო მოგება		(434,181)	36,323
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(434,181)	36,323
მოგების გადასახადი			
პერიოდის მოგება/(ზარალი)		(434,181)	36,323

გენერალური დირექტორი:
ზაზო ზაბახიძე

ფინანსური დირექტორი:
ლალი ცუხიშვილი

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება/(ზარა ლი)	სხვა რეზერვი	სულ მფლობელთა კაპიტალი
	12		12	
დეკემბერი 31, 2021	18,840,950	(4,474,660)	12,754	14,379,044
ცვლილება +/-)				
პერიოდის შედეგი		36,323		36,323
დეკემბერი 31, 2022	18,840,950	(4,438,337)	12,754	14,415,367
ცვლილება +/-)				
პერიოდის შედეგი		(434,181)		(434,181)
დეკემბერი 31, 2023	18,840,950	(4,872,518)	12,754	13,981,186

გენერალური დირექტორი:
ზაზო ზაბახიძე

ფინანსური დირექტორი:
ლალი ცუხიშვილი

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	31/12/2023	31/12/2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(434,181)	36,323
<i>არაფულადი შემოსავლისა და ხარჯების კორექტირება:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	562,544	557,760
საექვო და უიმედო მოთხოვნების ანარიცხები	1,222	13,306
წმინდა ფინანსური (შემოსავლები)/ხარჯები	(71,505)	(42,826)
არაფულადი გადასახადები		26,488
შემოსულობა ძირითადი საშუალების გასვლიდან	(7,750)	(5,900)
<i>ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:</i>		
მარაგების შემცირება (ზრდა)	(3113)	9,790
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა)	127,900	(409,163)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	246,357	192,603
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	421,474	378,381
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(169,413)	(192,650)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	7,750	5,900
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(161,663)	(186,750)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტები	71,123	42,826
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	71,123	42,826
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	330,934	234,457
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	730,784	496,326
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	1,061,718	730,784

გენერალური დირექტორი:

ზაზო ზაბახიძე

ფინანსური დირექტორი:

ლალი ცუხიშვილი

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „საჩხერეგაზი“ (შემდგომში - კომპანია) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებებზე გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის N288 დადგენილების შესაბამისად. იგი დაფუძნდა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს საჩხერის რაიონული განყოფილების 1995 წლის 14 დეკემბრის N29 ბრძანების საფუძველზე. კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში, საჩხერის რაიონული სასამართლოს მიერ 1995 წლის 25 დეკემბერს (რეგ N 51/5-2). საიდენტიფიკაციო ნომერი (239403392).

გენერალური დირექტორი - ზაზო ზაბახიძე, პ/ნ 38001004997

კომპანიის დამფუძნებლებია:

- სსიპ „თვითმმართველი ერთეული საჩხერის მუნიციპალიტეტი“ (მაკონტროლებელი მხარე) - 99,9676 %.
- 72 ფიზიკური პირი - 0,03243 %.

კომპანიის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაა სააქციო საზოგადოება. მისი სააქციო კაპიტალი შეადგენს 18 840 950 ლარს.

კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა კრება, ხოლო ხელმძღვანელია გენერალური დირექტორი.

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, საჩხერის რაიონი, თამარ მეფის ჩიხი. N 8.

კომპანიის მთავარი საქმიანობაა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ბუნებრივი აირის მიწოდება და განაწილება. ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის განვითარების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის პროექტების დამუშავება და განხორციელება. ასევე, მას შეუძლია განახორციელოს სხვა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით. კომპანია საქმიანობს საქართველოში, საჩხერის რაიონში.

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის როგორც ინდივიდუალური სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებას. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2023 წლის 1 იანვრით დაწყებულ და 31 დეკემბრით დამთავრებულ წლიურ პერიოდს.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში არ ხორციელდება. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარმოდგენილია ლარებში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ახალი სტანდარტები და ცვლილებები

ა) 2023 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ახალი სტანდარტები და ცვლილებები

2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების ფინანსური ანგარიშგებებისათვის 2023 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა შემდეგი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები და ცვლილებები:

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“. იგი გამოიცა 2017 წლის მაისში ფასს 4 სადაზღვევო ხელშეკრულებების შემცვლელად. ის მოითხოვს მიმდინარე შეფასების მოდელს, სადაც შეფასებები ხელახლა კეთდება ყოველ საანგარიშო პერიოდში.

ცვლილებები ბასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და ფასს პრაქტიკული მითითება 2-ში. ცვლილება შეეხო სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებას. ცვლილების მიხედვით საწარმოებს მოეთხოვებათ გაამჟღავნონ უფრო მეტად თავიანთ არსებითი, ვიდრე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. ასევე განიმარტა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არ საჭიროებს გამჟღავნებას. მაგრამ თუ ის გამჟღავნებულია, ამგვარმა ინფორმაციამ ბუნდოვანი არ უნდა გახადოს და დაჩრდილოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გამჟღავნებული არსებითი ინფორმაცია.

ცვლილებები ბასს 8-ში „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“. ცვლილებები განმარტავს, თუ როგორ უნდა განასხვავონ საწარმოებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებებისგან.

ცვლილებები ბასს 12-ში „მოგების გადასახადი“. ცვლილებები ეხება ერთი ოპერაციის შედეგად წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებულ გადავადებულ მოგების გადასახადს. ცვლილებები მოითხოვს საწარმოებმა აღიარონ გადავადებული გადასახადი იმ ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ ოდენობას.

საწარმოს ხელმძღვანელობის აზრით, 2023 წლის 1 იანვარს ძალაში შესულ სტანდარტებსა და ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია საანგარიშგებო პერიოდზე ან რომელიმე წინა პერიოდზე და მისი გავლენა არ გავრცელდება მომავალ პერიოდზე.

ბ) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არაა სავალდებულო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც მთავრდება 2023 წლის 31 დეკემბერს.

საწარმოს არ გამოუყენებია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოცემული ახალი სტანდარტი ან/და არსებული სტანდარტების შესწორებები, რომელთა ძალაში შესვლის თარიღი (1 იანვარი 2024 წელი) არ დამდგარა. ქვემოთ მოტანილია ინფორმაცია აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით:

ცვლილებები ბასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ბასს 1-ში 2020 და 2022 წლებში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიანი, რაც დამოკიდებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ამგვარ კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს საწარმოს მოლოდინი ან ანგარიშგების თარიღის შემდეგი მოვლენები (მაგ. უარის თქმა ან შეთანხმების დარღვევა).

სასესხო შეთანხმებების პირობები გავლენას არ მოახდენს ანგარიშგების თარიღისთვის ვალდებულების მიმდინარედ ან გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე, თუ საწარმომ პირობები უნდა დაიცვას ანგარიშგების თარიღის შემდეგ. თუმცა, თუ საწარმომ პირობები უნდა დაიცვას ანგარიშგების თარიღამდე ან ანგარიშგების თარიღში, ეს გავლენას მოახდენს, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე, მაშინაც კი, თუ პირობებთან შესაბამისობა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ შემოწმდება.

თუ საწარმო ვალდებულების კლასიფიკაციას ახდენს გრძელვადიანად და ეს ვალდებულება ექვემდებარება პირობებს, რომელიც საწარმომ უნდა შეასრულოს ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში, ცვლილებების გათვალისწინებით საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ვალდებულების მიმდინარე ღირებულება;
- ინფორმაცია პირობების შესახებ; და
- ფაქტები და გარემოებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საწარმოს შეიძლება გაუჭირდეს პირობების შესრულება.

ცვლილებები ასევე განმარტავს რას გულისხმობს ბასს 1, როდესაც ის ეხება ვალდებულების „დაფარვას“. ვალდებულების პირობები, რომელსაც, კონტრაგენტის თვალსაზრისით, შეიძლება მოჰყვეს მისი დაფარვა

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემით, შეიძლება იგნორირებული იყოს ვალდებულების მიმდინარე ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით, თუ საწარმო ოფციონს აკლასიფიცირებს როგორც წილობრივ ინსტრუმენტს. თუმცა, კონვერტირებადი ობლიგაციების, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც ვალდებულება, მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციისას გათვალისწინებული უნდა იქნას კონვერტაციის ვარიანტები.

ბასს 1-ში 2020 და 2022 წლებში განხორციელებული ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნას რეტროსპექტულად, ბასს 8-ის „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ მოთხოვნების შესაბამისად. სპეციალური გარდამავალი წესები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საწარმომ ადრე მიიღო 2020 წლის შესწორებები ვალდებულებების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი.

ცვლილებები ფასს 16-ში „იჯარა“. ცვლილება აზუსტებს, რომ გაყიდვისა და უკუიჯარის შემდეგ საიჯარო ვალდებულების შეფასების შემთხვევაში, გამყიდველი-მოიჯარე „საიჯარო გადახდებს“ და „გადასინჯულ საიჯარო გადახდებს“ განსაზღვრავს ისე, რომ არ გამოიწვიოს გამყიდველი მოიჯარის მიერ შემოსულობის ან ზარალის რაიმე ოდენობის აღიარება, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან. ამან შეიძლება განსაკუთრებით იმოქმედოს გაყიდვისა და იჯარის ოპერაციებზე, სადაც იჯარის გადახდა მოიცავს ცვლად გადახდებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე.

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“. ცვლილება ეხება მიმწოდებლის დაფინანსების მექანიზმების ახლებურად გამჟღავნებას. ახალი გამჟღავნების მიზანია მიმწოდებლის დაფინანსების მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც საშუალებას მისცემს ინვესტორებს შეაფასონ გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე, ფულადი სახსრების ნაკადებზე და ლიკვიდურობის რისკის ზემოქმედებაზე. ახალი გამჟღავნება მოიცავს ინფორმაციას შემდეგზე:

მიმწოდებლის დაფინანსების შეთანხმებების ვადები და პირობები.

1. ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც მიმწოდებლის დაფინანსების შეთანხმებების ნაწილია და მუხლები, რომლებშიც ეს ვალდებულებებია წარმოდგენილი.
2. (ბ)-ში მოცემული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლისთვისაც მომწოდებლებმა უკვე მიიღეს გადახდა პროვაიდერებისგან.
3. გადახდის ვადების დიაპაზონი როგორც ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც მიმწოდებლის დაფინანსების შეთანხმებების ნაწილია, ასევე შესაძარბელი სავაჭრო გადასახდელებისთვის, რომლებიც არ არის ასეთი შეთანხმებების ნაწილი.
4. არაფულადი ცვლილებები ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში (ზ).
5. მიმწოდებლის დაფინანსების შეთანხმებების ობიექტებზე წვდომა და ლიკვიდურობის რისკის კონცენტრაცია პროვაიდერებთან.

ცვლილებები ფასს 10-ში „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ და ბასს 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“. ცვლილებები განმარტავს ინვესტორსა და მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებს შორის აქტივების გაყიდვების ან გადაცემის აღრიცხვას. ცვლილების მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვა დამოკიდებულია იმაზე, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში გაყიდული ან გადაცემული არაფულადი აქტივები წარმოადგენს თუ არა „საწარმოს“ (როგორც განსაზღვრულია ფასს 3-ში საწარმოთა გაერთიანებები).

როდესაც არაფულადი აქტივები წარმოადგენს საწარმოს, ინვესტორი აღიარებს სრულ მოგებას ან ზარალს აქტივების გაყიდვით ან გადაცემის გამო. თუ აქტივები არ შეესაბამება საწარმოს განმარტებას, მოგება ან ზარალი ინვესტორის მიერ აღიარდება მხოლოდ სხვა ინვესტორის ინტერესების ფარგლებში მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში. ცვლილებები გამოიყენება პერსპექტიულად.

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

კომპანია არ ელოდება, რომ აღნიშნული ცვლილებები რაიმე არსებით გავლენას მოახდენს მის სააღრიცხვო პოლიტიკასა და ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ მიღებული და გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ზოგადად, ისტორიული ღირებულება ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გაცემული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგები დამტკიცების მომენტისათვის კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია რწმენა, რომ კომპანიას ექნება საკმარისი რესურსი უახლოეს მომავალში საოპერაციო საქმიანობისათვის.

ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი ნაკადები, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობა და დარწმუნდა ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში კომპანიის ფუნქციონირების შესაძლებლობებში.

შესაბამისად, ხელმძღვანელობა აგრძელებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებას ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

შემოსავლების აღიარება

კომპანია აღიარებს ამონაგებს შემდეგი ძირითადი წყაროებიდან:

- მომხმარებლისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდება;
- ბუნებრივი გაზის გატარება;
- ახალი მომხმარებლის მიერთების მომსახურება;
- აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის მომსახურება.

კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც იგი გადასცემს მომხმარებელს პროდუქტის ან მომსახურების კონტროლს. ამონაგების სახით აღიარდება გარიგების ფასის ის ნაწილი, რომელიც მიაკუთვნა კომპანიის მიერ შესრულებულ ვალდებულებას. გარიგების ფასი არის ანაზღაურების ის ოდენობა, რომლის მიღების უფლებას კომპანია მოელოდა, რომ მოიპოვებს მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. გარიგების ფასი არ მოიცავს მესამე მხარის სახელით მიღებული თანხებს (როგორცაა, დამატებული ღირებულების გადასახადი).

ბუნებრივი გაზის გაყიდვა

ბუნებრივი გაზის გაყიდვის აღიარება ხდება საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო სექტორების მომხმარებელთა მიერ ბუნებრივი გაზის აღრიცხული მოხმარების საფუძველზე.

მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროებითი სხვაობის გამო, ანგარიშგების ნებისმიერი თარიღისათვის კომპანიას გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის ბუნებრივი გაზი, რომელიც რეალურად მოხდა, მაგრამ რომლისთვისაც ჯერ არ არის წარდგენილი ანგარიშები მომხმარებლებზე. ისეთი ამონაგების გამოანგარიშება, რომლებიც კომპანიამ გამოიმუშავა, მაგრამ მათზე ანგარიშები ჯერ არ წარუდგენია, ეყრდნობა ხელმძღვანელობის მიერ

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

განსაზღვრულ თარიღამდე მიწოდებული ბუნებრივი აირის მოცულობის, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მისი განაწილებისა და მიწოდებასთან დაკავშირებული ტექნიკური დანაკარგების შეფასებას ანგარიშგების თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ ამონაგებსა და სავარაუდო ამონაგებს შორის, რომლებზეც ანგარიშები ჯერ არ არის წარდგენილი, უმნიშვნელოა.

მომსახურების გადაცემა

მომსახურების ვალდებულების შესრულების შედეგად ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გადაცემულია მომხმარებლისათვის და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

დასაქმებულების გასამრჯელო

დასაქმებული პირის მიერ სააღრიცხვო პერიოდში კომპანიისთვის გაწეული მომსახურება, რომლებიც გადასახდელია ამ მომსახურებისათვის, აღიარდება დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობით:

ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოების არადისკონტირებულ ღირებულებას, კომპანია ნამეტ თანხას აღიარებს აქტივად (წინასწარგაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარი გადახდა კომპანიას მიიყვანს, მომავალში გადასახდელების შემცირებამდე ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებამდე; და

ბ) როგორც ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გასამრჯელოები შეიძლება ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში.

მოგებიდან გადასახადი

მიმდინარე პერიოდის საგადასახადო ვალდებულებები (აქტივები) ფასდება იმ თანხით, რომელიც ექვემდებარება გადახდას (ანაზღაურებას) შესაბამისი საგადასახადო განაკვეთებისა და საგადასახადო კანონის გამოყენების საფუძველზე, რომლებიც უკვე შესულია ძალაში ან ამოქმედდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მიმდინარე გადასახადის აღიარება ხდება შემოსავლის ან ხარჯის სახით და ჩაირთვება საანგარიშგებო პერიოდის მოგების ან ზარალის თანხაში, იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც გადასახადი წარმოიშობა ისეთი მოვლენის ან ოპერაციის გამო, რომელიც იმავე, ან სხვა რომელიმე საანგარიშგებო პერიოდში აღიარებულია მოგებისა და ზარალის გარეთ სხვა სრულ შემოსავალში, ან პირდაპირ საკუთარ კაპიტალში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

- ა) განაწილებული მოგება;
- ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; და
- დ) საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმო-მადგენლობითი ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ერთეული აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

- ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლების შემდეგ;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც კომპანია იღებს შემენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში კომპანია აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალებების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთის აღიარება ხდება ისე, რომ აქტივების (გარდა მიწისა და დაუმთავრებელი მშენებლობისა) ღირებულება, ნარჩენი ღირებულებების გამოკლებით, ჩამოიწეროს მათი სასარგებლო მომსახურების განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, შემდეგ საფუძველზე:

	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20-75
გაზის მილსადენები	40-70
მანქანა-დანადგარები	10-40
ავტომობილები	8-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მიზნით მათ თვითღირებულებას აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და ხარჯი აისახება იმ წლის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაში ეს ხარჯი იქნა გაწეული.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ფასდება სასრულად და შეზღუდულია 5–15 წლამდე.

არამატერიალური აქტივების ამორტიზება მაშინ იწყება, როცა შესაძლებელი გახდება აქტივის გამოყენება. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვების შედეგად მიღებული წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

ძირითადი საშუალებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისთვის, კომპანია განიხილავს მისი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რათა დაადგინოს, არსებობს რაიმე მინიშნება იმისა, რომ ამ აქტივები გაუფასურებულია. ასეთი მინიშნების არსებობის შემთხვევაში კომპანია განსაზღვრავს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას, რომ დაადგინოს გაუფასურების ზარალის სიდიდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

როდესაც აქტივი სხვა აქტივებისგან დამოუკიდებლად არ წარმოშობს ფულადი სახსრების ნაკადებს, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი.

აქტივის გამოყენების ღირებულების შეფასების დროს მომავალი ფულადი ნაკადის მათ რეალურ ღირებულებამდე დისკონტირისათვის გამოიყენება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთი, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და მოცემული აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს.

როდესაც მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლები იქნება მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და იგი აღიარდება ხარჯის სახით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

როცა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ ადგილი ექნება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულ შეფასებების ცვლილებებს, მოხდება წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება (უკუგატარება). ამ შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. ხოლო გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

მარაგი

მარაგი ფასდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის, გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აღიარებს, მაშინ როდესაც ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

კომპანია თავდაპირველი აღიარებისას ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნისა, რომლებსაც არ აქვთ მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტი, და ფინანსურ ვალდებულებას აფასებს სამართლიანი ღირებულებით. სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება გარიგების ის დანახარჯები (ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან.

გარიგების ის დანახარჯები, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების შეძენასთან, დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს, რომლებიც არ მოიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს თავდაპირველად აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებები კლასიფიკაცია

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია ფულადი სახსრები, სავაჭრო მოთხოვნები და სავაჭრო ვალდებულებები.

კომპანია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“. ხოლო, ფინანსური ვალდებულება როგორც „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“.

ფინანსური აქტივის გაუფასურება

კომპანია სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან მიმართებით აღიარებს ზარალის რეზერვს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა განახლდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა ასახული იყოს ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკში მომხდარი ცვლილება.

კომპანია ყოველთვის აღიარებს სავაჭრო მოთხოვნის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. სავაჭრო მოთხოვნის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა ხდება რეზერვების მატრიცის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილების ეკვივალენტურ თანხას, როგორც გაუფასურების შემოსულობას ან ზარალს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მუხლი მოიცავს მხოლოდ ნაღდ ფულს, ფულის ბანკში და მომხმარებლების მიერ სწრაფი გადახდის აპარატებზე ჩარიცხულ თანხებს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების არსებით კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებებზე მომავალ პერიოდში.

სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც ზემოთაა აღწერილი, ხელმძღვანელობას მოეთხოვება გამოიყენონ მსჯელობები (იმათ გადა, რაც დაკავშირებულია შეფასებებთან) და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღიარებულ თანხებზე, ასევე გააკეთონ შეფასებები და დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც არაა აშკარა სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ითვლება. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებისგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადაისინჯება მუდმივად. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასების გადახედვა მოხდება, თუ ცვლილება აისახება მხოლოდ ამ პერიოდზე, ან მომავალ პერიოდში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31/12/2023	31/12/2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში		
ფულის საბანკო ანგარიშზე ლარი	1,058,755	726,744
ფული სწრაფი გადახდის აპარატებში	2,963	4,040
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,061,718	730,784

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო მოთხოვნები	1,296,613	1,476,158
სხვა მოთხოვნები	483	263
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(23,853)	(75,278)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,273,243	1,401,143

7. მარაგები

	31/12/2023	31/12/2022
ნედლეული და მასალები	347,103	354,646
საწვავი	8,505	9,593
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	19,777	14,293
სულ მარაგი	375,385	378,532

მოცემული საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად აღიარებულია 5,474,295 ლარის ღირებულების მარაგი.

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

8. ძირითადი საშუალებები

დასახელება	მიწა	დაუმთავრელი შენიშვნა	შენიშვნა	ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ეზოს გამწვანება	სულ
თვითღირებულება									
ნაშთი: 31.12.2022	29,094	66,173	262,991	18,312,878	863,399	82,627	257,725	1,234	19,876,121
აქტივების შეძენა		3,901		57,505	107,135	9,022			177,563
აქტივების გასვლა					(11,441)	(1,375)	(24,574)		(37,390)
ნაშთი: 31.12.2023	29,094	70,074	262,991	18,370,383	959,093	90,274	233,151	1,234	20,016,294
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება									
ნაშთი: 31.12.2022	0	0	97,079	6,068,267	444,261	74,447	107,460		6,791,514
წლიური ცვეთა			5,995	466,788	70,266	2,133	21,776		566,958
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა					(17,017)	(1,375)	(24,574)		(42,966)
ნაშთი: 31.12.2023	0	0	103,074	6,535,055	497,510	75,205	104,662	0	7,315,506
საბალანსო ღირებულება									
ნაშთი: 31.12.2022	29,094	66,173	165,912	12,244,611	419,138	8,180	150,265	1,234	13,084,607
ნაშთი: 31.12.2023	29,094	70,074	159,917	11,835,328	461,583	15,069	128,489	1,234	12,700,788

კომპანია იყენებს სრულად ამორტიზებულ ძირითად საშუალებებს, რომელთა პირვანდელი ღირებულება ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

მანქანა დანადგარები	14,064
ოფისის აღჭურვილობა	43,368
ავტო და სხვა ინვენტარი	8,232
სატრანსპორტო საშუალებები	796
ნაგებობები	3005
ჯამი	69,465

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სრულად ამორტიზებული ნაგებობების ღირებულება მოიცავს 3,005 ათასი ლარის ღირებულების მილსადენებს რომელიც არ გამოიყენება, მაგრამ არაა რეკლასიფიცირებული როგორც გასაყიდად გამიზნული.

9. არამატერიალური აქტივები

კომპანია არამატერიალური აქტივების სახით ფლობს ბილინგის პროგრამას, საბუღალტრო პროგრამას და სხვა პროგრამულ უზრუნველყოფას. მათ შესახებ ინფორმაცია მოტანილია ქვემოთ.

	ნაშთი 31.12.2023	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2022
შემენის ღირებულება	65,720			65,720
დაგროვილი ამორტიზაცია	34,313	3,925		26,461
საბალანსო ღირებულება	31,407			39,259

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ჩართულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლებში „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები“ და „განაწილების ხარჯები“. კომპანია აგრძელებს მთლიანად ამორტიზებული საბუღალტრო პროგრამისა და ბილინგის პროგრამის გამოყენებას, რომელთა ჯამური პირვანდელი ღირებულება 8779 ლარს შეადგენს.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31/12/2023	31/12/2022
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	974,142	763,422
გადასახდელი ხელფასები	107,504	82,491
საგადასახადო ვალდებულებები	116,761	117,080
მიღებული ავანსები	262,981	252,038
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,461,388	1,215,031

11. სააქციო კაპიტალი და რეზერვი

	31/12/2023	31/12/2022
ნებადართული აქციების რაოდენობა (ცალი)	18,840,950	18,840,950
გამოშვებული და მთლიანად ანაზღაურებული აქციების რაოდენობა (ცალი)	18,840,950	18,840,950
სააქციო კაპიტალის ანაზღაურებული ნაწილი (ლარი)	18,840,950	18,840,950
სხვა რეზერვი	12,754	12,754
სააქციო კაპიტალი და რეზერვი (ლარი)	18,853,704	18,853,704

სხვა რეზერვი მოიცავს კონტროლის უფლების მქონე აქციონერის მიერ 2019 წლის 1 იანვრამდე, მატერიალური აქტივების გადაცემის გზით, აქციების რაოდენობის გასაზრდელად წინასწარ განხორციელებულ შენატანს.

12. ამონაგები

	2023 წ.	2022 წ.
საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები	7,133,260	6,727,238
მომსახურების გაწევისგან მიღებული ამონაგები	269,035	208,614
სულ ამონაგები	7,402,295	6,935,852

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ დადგენილი წესების საფუძველზე, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შესასრულებელი ვალდებულებებზე ბუნებრივი გაზის მიწოდება და მიწოდების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებები.

საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს, რომლებიც ბუნებრივ გაზს არ მოიხმარენ სამეწარმეო საქმიანობისთვის, ბუნებრივი გაზი მიეწოდება სემეკის მიერ დადგენილი ტარიფებით. დანარჩენ მომხმარებლებთან ფასები განისაზღვრება საბაზრო პირობებით.

კომპანიის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები მომხმარებლის წინაშე უწყვეტად სრულდება. შესასრულებელი ვალდებულებები დაკმაყოფილებულად ითვლება ბუნებრივი გაზის მიწოდებისთანავე, რადგან მომხმარებელი მაშინვე იღებს და მოიხმარს კომპანიის საქმიანობის შედეგად შექმნილ სარგებელს, როგორც კი იგი შეასრულებს ვალდებულებას.

მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების პერიოდად მიიჩნევა კალენდარული თვე. მიღებული ამონაგები აღიარდება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს.

ანაზღაურების გადახდის დრო დგება კალენდარული თვის დასრულებიდან 15 დღის ვადაში. მიწოდების პირობა არ შეიცავს დაფინანსების კომპონენტს.

კომპანია შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილებისთანავე იძენს ანაზღაურების მიღების უპირობო უფლებას, რომელიც მოკლე ვადაში უნდა განხორციელდეს. ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების თანახმად, კომპანია უფლებამოსილია კანონმდებლობისა და აღნიშნულ წესებში მოცემული ნორმების დაცვით, შეწყვიტოს საცალო მომხმარებლის ბუნებრივი გაზით მომარაგება, თუ საცალო მომხმარებლის მიერ დროულად არ არის გადახდილი მასზედ დარიცხული, მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასური. შესაბამისად, ამონაგების აღიარების კვალობაზე კომპანიას წარმოეშობა მოთხოვნა მომხმარებლის მიმართ და ამონაგების აღიარება სახელშეკრულებო აქტივის აღიარებას არ განაპირობებს.

13. სხვა შემოსავლები

	31/12/2023	31/12/2022
ბანკის დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი	71,505	42,826
მეორადი მარაგის შემოსავალი	19,035	6,731
შემოსულობა ძირითადი საშუალების გასვლიდან	7,750	5,900
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2,440	
სულ სხვა შემოსავალი	100,730	55,457

14. შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების ეკონომიკური შინაარსის ანალიზი

	31/12/2023	31/12/2022
გამოყენებული მარაგი	5,474,295	4,866,265
ცვეთა და ამრტიზაცია	562,544	557,760
დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	1,703,042	1,373,898
დასაქმებულთა საპენსიო შენატანების დაფინანსება	32,400	27,095
სხვა საგადასახადო ხარჯი	40,268	39,556
კომუნიკაციის ხარჯი	5,265	5,161
საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	1,222	13,306
სხვა ხარჯი	118,170	71,946
სულ ხარჯები	7,937,206	6,954,986

15. აუდიტორის მიერ მისაღები თანხა

წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად აუდიტორული ფირმისათვის გადასახდელი ანაზღაურება დამატებული ღირებულების ჩათვლით შეადგენს 23000 ლარს.

16. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე დაყრდნობით კომპანიის ხელმძღვანელობა არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხების აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

17. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია განიხილავს თავის რისკებს ფინანსური რისკების კონტექსტში (საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო, ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთის რისკები), საოპერაციო და იურიდიული რისკების ჩათვლით. კომპანია განაგრძობს თავისი ფუნქციების შემუშავებას საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვაში. ხელმძღვანელობის მიერ დღეისათვის მიღებული ზომები მიზნად ისახავს შიდა წესებისა და პროცედურების შესაბამისი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად, როგორც ამჟამად, ისე მომავალში.

ა) საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, იმისა, რომ ბუნებრივი გაზის მომხმარებლების ნაწილი ვერ შეძლებს დავალიანების დროულად და სრული მოცულობით გადახდას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად აყენებს კომპანიას საკრედიტო რისკის ქვეშ, ძირითადად, შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისგან. კომპანიის საჩხერეს მუნიციპალიტეტში მონოპოლისტური მდგომარეობა აქვს, მისი საქმიანობა რეგულირებადია, ამიტომ მისი შესაძლებლობა აირჩიოს სასურველი მომხმარებლები, შეზღუდულია. კომპანია საკრედიტო რისკის მართვას ახორციელებს იმ მომხმარებლებზე გაზის მიწოდების დროული შეჩერების გზით, რომლებიც არ იხდიან მოხმარებული ბუნებრივი გაზის დავალიანებას. მაგრამ კომპანიის მომხმარებელთა რაოდენობის და მათი გეოგრაფიული განაწილების გათვალისწინებით, შესაძლებელია იმის დაშვება, რომ ყველა არგადამხდელი მომხმარებლისთვის არ იქნება დროულად შეწყვეტილი გაზის მიწოდება. კომპანია ასევე ემსახურება სოციალური სფეროს მომხმარებლებს, რომელთა მიმართ ბუნებრივი გაზის მიწოდების შეზღუდვას კომპანია ვერ შეძლებს მათი ვალის არასათანადო მომსახურების შემთხვევაშიც კი.

ხელმძღვანელობამ შეიმუშავა დარეზერვების ისეთი პოლიტიკა, რომელიც ნებისმიერი პრობლემური მომხმარებლის დროული იდენტიფიცირებისა და ადეკვატური დარეზერვების საშუალებას იძლევა. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვის გამოკლებით, და მთლიანი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

დებიტორული დავალიანების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები. მიუხედავად ამისა ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ ემუქრება მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც გადააჭარბებს დადგენილ რეზერვებს.

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რადგან სამომხმარებლო პორტფელი დივერსიფიცირებულია საყოფაცხოვრებო და კომერციული სექტორების დიდი რაოდენობის მომხმარებლებს შორის. ფულადი სახსრების ჭარბი ნაშთი განთავსებულია ფინანსურ ინსტიტუტებში,

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

რომლებიც საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციას ექვემდებარება და რომლებსაც დეპონირების თარიღისთვის ჰქონდა დეფოლტის მინიმალური რისკი.

ბ) საბაზრო რისკი

კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი, ძირითადად შეეხება კომპანიისათვის დადგენილ ტარიფებს და ზემოქმედებას ახდენს შესასყიდი გაზის ფასზე და მომხმარებლებისათვის მიწოდებული გაზის ღირებულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მონაწილეობს ამ ტარიფების გარკვეული დონეების დადგენაში, ტარიფის დონის დადგენასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები მის კონტროლს არ ექვემდებარება. კომპანიას არ გააჩნია სავალუტო პოზიცია, რომელზეც ზეგავლენა ექნებოდა ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებს. თუმცა, ვალუტის კურსის ცვლილება გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგზე, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მომწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ბუნებრივი გაზის შესასყიდი ფასი დადგენილია უცხოურ ვალუტაში და ასანაზღაურებელი თანხა ეროვნულ ვალუტაში განისაზღვრება მოწოდების თარიღებში არსებული კურსით.

გ) საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკს, რადგან მას გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსები, საოპერაცია საქმიანობა განახორციელოს ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდული ფულადი სახსრების გარეშე.

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო ინსტრუმენტების მეშვეობით. კომპანიას მიმდინარე ვალდებულებები ძირითადად ბუნებრივი გაზის მომწოდებლების მიმართ აქვს. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ბუნებრივი გაზის მომხმარებლების მიმართ მოთხოვნის დაუფარაობის შემთხვევაში, მოწოდების დროებით შეჩერების ბერკეტის გამოყენება, კომპანიას საკმარისი მოქნილობას ანიჭებს მისი ვალდებულებების დაფარვის ვადებთან მიმართებით, რაც აუცილებელია ბიზნესში საკმარისი ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად. ქვემოთ მოტანილ ცხრილში წარმოდგენილია ვალდებულებები, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. ვადების ცხრილში ნაჩვენებია თანხები წარმოადგენს ფულადი სახსრების სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ნაკადებს.

არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	1 წელზე ნაკლები	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	1,061,718				1,061,718
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,273,243				1,273,243
სულ აქტივები	2,334,961				2,334,961
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,461,388				1,461,388
სულ ვალდებულებები	1,461,388				1,461,388
წმინდა სხვაობა	873,573				873,573

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	1 წელზე ნაკლები	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	730,784				730,784
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,401,143				1,401,143
სულ აქტივები	2,131,927				2,131,927
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,215,031				1,215,031
სულ ვალდებულებები	1,215,031				1,215,031
წმინდა სხვაობა	916,895				916,895

ე) კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზანია შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა, რათა მიაღწიოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიულ მიზნებს და შეინარჩუნოს აქციონერთა ნდობა.

ხელმძღვანელობა ყოველწლიურად განიხილავს კაპიტალის სტრუქტურას კაპიტალის ღირებულებას და რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის კაპიტალთან.

ქვემოთ მოტანილი კაპიტალზე წმინდა ვალდებულების წილის მაჩვენებლები წლის ბოლოსათვის, რომელიც შესადარის პერიოდთან კოეფიციენტის გაუმჯობესების ტენდენციას ასახავს.

ვალდებულების კაპიტალთან ფარდობის მაჩვენებლები

	31/12/2023	31/12/2022
ვალდებულებები	1,461,388	1,215,031
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1,061,718	496,326
წმინდა ვალდებულება	399,670	718,705
კაპიტალი	13,981,186	14,415,367
წმინდა ვალდებულება კაპიტალთან %	2,86	4.99

ვალდებულებები წარმოადგენს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია

ხელმძღვანელობამ იმსჯელა გასამუდგანებელი ინფორმაციის დეტალურობის დონეზე. მსჯელობისას განიხილა დაკავშირებული მხარის ურთიერთობის სიახლოვის ხარისხი და სხვა ფაქტორები, რომლებიც

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შესაფერისი იყო ოპერაციის მნიშვნელობის დონის დასადგენად. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია წარმოადგენს სახელმწიფოსთან დაკავშირებულ სამეურნეო ერთეულს და სსიპ „თვითმმართველი ერთეული საჩხერის მუნიციპალიტეტისა“ და მასთან დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას არ განუხორციელებია ბუნებრივი გაზის მიწოდების გარდა სხვა ოპერაცია, ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად ჩათვალა არ გაამჟღავნოს ინფორმაცია უფრო დეტალურ დონეზე.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელთა გასამრჯელო

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელთა გასამრჯელოს შესახებ მონაცემები ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

	31/12/2023	31/12/2022
მოკლევადიანი გასამრჯელოები	113,454	108,592
სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოები	2,269	2,172
სულ	115,723	110,764

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე არ მომხდარა როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც გამოიწვევდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირებას.

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად ხელმოწერით დაამტკიცა გენერალურმა დირექტორმა 2024 წლის 23 .აპრილს.

სს „საჩხერეგაზი“-ს გენერალური დირექტორი:

ზაზო ზაბახიძე

სს „საჩხერეგაზი“-ს

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

საქმიანობის მიმოხილვა	3
კომპანიის პროფილი	3
კომპანიის მართვა	3
კომპანიის კონკურენტული უპირატესობები	5
კომპანიის საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებელი	5
კომპანიის მდგომარეობა და ფინანსური შედეგი	8
კომპანიის განვითარების პერსპექტივები	9
კომპანიის მიმდინარე გეგმები	9
კომპანიის ღირებულებები	10
რისკების მართვა	10
ძირითად აქციონერთან ურთიერთობის ანგარიში	12
სემეკთან ურთიერთობის ანგარიში	12

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის პროფილი

სს „საჩხერეგაზი“ რეგისტრირებულია 1995 წლის 25 დეკემბერს, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: ქ. საჩხერე თამარ მეფის ქ., ჩიხი #8. სს „საჩხერეგაზის“ (შემდგომ - კომპანია) საქმიანობის ძირითადი სახეობებია: საჩხერის მუნიციპალიტეტში არსებული საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდება; მილსადენებით ბუნებრივი გაზის განაწილება/გატარება; გაზიფიკაციის საპროექტო, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების წარმოება, რომელიც ამ საქმიანობასთან ასოცირდება, ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც ნებადართულია კანონმდებლობით. კომპანიამ ძირითადი პროფილით საქმიანობა, ობიექტური მიზეზებით, იძულებით შეაჩერა 1994 წლიდან 2003 წლამდე. 2003 წლის დასაწყისში საქველმოქმედო სტატუსის მქონე ასოციაცია „ატუ“ დაინტერესდა კომპანიის ფუნქციონირების აღდგენით. დღეის მდგომარეობით საჩხერის მუნიციპალიტეტი თითქმის მთლიანად გაზიფიცირებულია. სახეზეა 668,77 კმ გარე გამანაწილებელი სხავდასხვა დიამეტრის, წნევისა და მდებარეობის ქსელი, კომპანია, დღეის მდგომარეობით, მომსახურებას უწევს 16644 საყოფაცხოვრებო და 445 არასაყოფაცხოვრებო აბონენტს.

კომპანიის მართვა

სს „საჩხერეგაზის“ დომინანტი აქციონერია სსიპ თვითმმართველი ერთეული საჩხერის მუნიციპალიტეტი, რომელიც ფლობს სს-ის აქციათა 99,98 %. (დანარჩენ აქციებს ფლობს 72 ფიზიკური პირი). კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს საერთო კრება წარმოადგენს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას პარტნიორთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და კომპანიის წესდებით. პარტნიორების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და კომპანიის მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და კომპანიის წესდებაში. აღსანიშნავია რომ, საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 20 ოქტომბრის N70 22938 ბრძანებით დამტკიცდა კომპანიის წესდების ახალი რედაქცია, რომელიც გარკვეულწილად შეესაბამება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ 2021 წლის 29 ნოემბრის #791 ბრძანებით დამტკიცებული სააქციო საზოგადოების სტანდარტულ წესდებას, თუმცა მოქმედი წესდების ზოგიერთი ჩანაწერი კვლავაც შეუსაბამოა იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებულ სტანდარტულ წესდებასთან.

2022 წლის 29 დეკემბერს ჩატარებული სს „საჩხერეგაზი“-ს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიქმნა სს „საჩხერეგაზი“-ს, როგორც სდპ-ს (საზოგადოებრივი დაინტერესების პირის) სტატუსის მქონე საწარმოს დამოუკიდებელი აუდიტის კომიტეტი 2 წევრის (აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე და ერთი წევრი) შემადგენლობით.

მართვის სტრუქტურა

2023 წლის განმავლობაში კომპანიის მართვა ხორციელდებოდა გენერალური დირექტორის მიერ დომინანტი აქციონერისათვის წარდგენილი და მისგან კორექტირებული და აქციონერთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული კომპანიის სტრუქტურით, საშტატო განრიგით, ხოლო თანამდებობრივ სარგოებითა და წახალისების ფორმების და ოდენობებს განსაზღვრავს აქციონერთა საერთო კრება.

კომპანიის მოქმედი შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია დასაქმებულთა მიერ კომპანიის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, დასაქმებულთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ. ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით განსაზღვრულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა. კომპანიის თითოეულ დასაქმებულთან

სს „საჩხერეგაზი“


ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

გაფორმებულია წერილობითი შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული და კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულისა და დამსაქმებლის ძირითადი უფლებები და მოვალეობები.

კომპანიის გენერალური დირექტორი

სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. ხელმძღვანელი ორგანო-გენერალური დირექტორი და მას წარმოადგენს ზაზო ზაბახიძე (პ.ნ.38001004997) საქართველოს მოქალაქე.

კომპანიის სტრუქტურა სქემატურად მოტანილია ქვემოთ.



სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის


კომპანიის კონკურენტული უპირატესობები

კომპანია წარმოადგენს ბუნებრივ მონოპოლისტს, რაც განპირობებულია იმით, რომ კომპანია ფლობს გამანაწილებელი გაზსადენის ერთადერთ ქსელს, რომელიც მოცავს საჩხერის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა დასახლებას და ასევე ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წასრის და სოფელ ბეგიაურის დასახლებების ნაწილებს. შესაბამისად ფლობს ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიას, რომლითაც განსაზღვრულია განაწილების საქმიანობის გეოგრაფიული არეალი.

კომპანიის საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებელი

ქვემოთ წარმოდგენილა კომპანიის მიერ ბუნებრივი გაზის გაყიდვების მოცულობისა და შედეგების დინამიკა.


1. ბუნებრივი გაზის რეალიზაცია (ათასი კუბ.მ.)




სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

2. ქსელის დანაკარგის ფარდობა მიღებული ბუნებრივი გაზის რაოდენობასთან




3. განაწილება/გატარება სხვა მიმწოდებლისათვის (ათასი კუბ.მ.)



სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

4. კომპანიის შემოსავლების და მოგება/ზარალი (ათ.ლარი)



სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და შედეგი

1. ფინანსური მდგომარეობა თანხები წარმოდგენილია ლარში

აქტივები	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,061,718	730,784	496,326	1,582,972
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,273,243	1401,143	991,980	579,649
მარაგები	375,418	378,532	388,321	343,303
სხვა მიმდინარე აქტივები				7,409
სულ მიმდინარე აქტივები	2,710,379	1,453,988	1,876,627	2,513,333
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12,700,788	13,084,608	13,430,361	13,729,024
არამატერიალური აქტივები	31,407	35,332	39,259	52,403
სულ გრძელვადიანი აქტივები:	12,732,195	13,119,940	13,469,620	13,781,427
სულ აქტივები	15,442,574	15,630,399	15,346,247	16,294,760
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,461,388	1,215,031	967,202	1,903,934
სულ მიმდინარე ვალდებულებები:	1,461,388	1,215,031	967,202	1,903,934
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	18,840,950	18,840,950	18,840,950	18,840,950
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	(4,872,518)	(4,438,337)	(4,474,660)	(4,462,878)
რეზერვი	12,754			
		12,754	12,754	12,754
სულ კაპიტალი	13,981,186	14,415,367	14,379,044	14,390,826
სულ ვალდებულები და კაპიტალი	15,442,574	15,630,399	15,346,247	16,294,760

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

2. სრული შემოსავლები

თანხები წარმოდგენილია ლარში

	2023 წ.	2022 წ.	2021 წ.	2020 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7,402,295	6,935,852	6,306,577	5,897,410
საერთო მოგება:	(5,468,786)	(4,811,852)	(4,569,877)	(4,360,719)
	1,933,509	2,124,000	1,736,701	1,536,691
სხვა შემოსავლები	100,730	55,457	142,108	116,306
განაწილების ხარჯები	(1,975,088)	1,715,821	(1,492,082)	(1,418,402)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(491,416)	(423,772)	(398,083)	(415,818)
სხვა ხარჯი	(1,916)	(3,591)	(425)	(850)
საოპერაციო მოგება	(434,181)	36,323	(11,781)	(182,073)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(434,181)	36,323	(11,781)	(182,073)
მოგების გადასახადი პერიოდის მოგება/(ზარალი)	(434,181)	36,323	(11,781)	(182,073)

კომპანიის განვითარების პერსპექტივები

კომპანიის განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- კომპანიის შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- ნულოვანი მოხმარების მქონე აბონენტების რაოდენობის შემცირება;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- ტექნიკისა და ტექნოლოგიების სრულყოფა და ახლის შეძენა;
- კომპანიაში ინოვაციური პროექტების წახალისება და დანერგვა.
-

კომპანიის მიმდინარე გეგმები

კომპანია გეგმავს:

- განაგრძოს საკუთარი გაზის მეურნეობის უსაფრთხო ექსპლუატაცია;
- განაგრძოს ძალისხმევა ბუნებრივი გაზის დანაკარგების შესამცირებლად;
- საკადრო რესურსის კვალიფიკაციის ამაღლებას;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციას ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით და თავისდროული მიმდინარე შეკეთებით;
- სატრანსპორტო საშუალებების პარკის მუდმივ განახლებას;

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

კომპანიის ღირებულებები:

პასუხისმგებლობა - პასუხისმგებლობა, როგორ მომხმარებლების, ასევე დასაქმებულებისა და საქმიანი ვალდებულებების წინაშე;

კეთილსინდისიერება - კეთილსინდისიერად ვემსახუროთ თითოეულ მომხმარებელს;

პროფესიონალიზმი - პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და მომხმარებლებისათვის კვალიფიციური მომსახურების გაწევა;

გუნდური სულისკვეთება - ერთიანი ძალებით, ერთმანეთის მხარდაჭერით შეგვეძლოს საერთო მიზნის მიღწევა.

რისკების მართვა

რისკების მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის სტაბილური და უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის. კომპანიის თითოეული დასაქმებული პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისივე საქმიანობის ფარგლებში. რისკების მონიტორინგი და კონტროლი ხორციელდება კომპანიის მიერ დადგენილი სტანდარტების და პროცედურების მიხედვით. ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემოწმება ხდება ანალიზის და ადრეული რისკების გამოვლენის მიზნით. სხვადასხვა მარაგების და ფასეულობების დაკარგვის და არამიზნობრივი ხარჯვის პრევენციისათვის ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები:

სწრაფ ბრუნვაში მყოფი მარაგების ხშირი (კვარტალური, წლიური) ინვენტარიზაცია.

ავტომატური საწვავის ავზებში დაყენებული ჩიპების მეშვეობით კონტროლდება საწვავის წვის და ავტომატური მოძრაობა.

ობიექტებზე მასალების ხარჯვის სისტემატური შედარება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებთან.

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.
- სწრაფად ვუცვლით დაზიანებულ ნაწილს (მარაგში მუდმივად გვაქვს სწრაფად დაზიანებადი სათადარიგო ნაწილები).
- თუ მექანიზმის აღდგენას ჭირდება გარკვეული დრო, უბანზე ვცვლით დაგეგმილ სამუშაოებს ოპტიმალური ვარიანტით.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დამახასიათებელია შემდეგი სახის რისკები:

- ქსელში ბუნებრივი გაზის დანაკარგები;
- გამანაწილებელი ქსელის უსაფრთხო ექსპლუატაცია;
- მომხმარებელთა საკუთრებაში მყოფი ქსელებისა და დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაცია;
- კვალიფიციური კადრების დენადობა;
- შრომის უსაფრთხოება.

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, იმისა, რომ ბუნებრივი გაზის მომხმარებლების ნაწილი ვერ შეძლებს დავალიანების დროულად და სრული მოცულობით გადახდას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად აყენებს კომპანიას საკრედიტო რისკის ქვეშ, ძირითადად, შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისგან. კომპანიის საჩხერეს მუნიციპალიტეტში მონოპოლისტური მდგომარეობა აქვს, მისი საქმიანობა რეგულირებადია, ამიტომ მისი შესაძლებლობა აირჩიოს სასურველი მომხმარებლები, შეზღუდულია. კომპანია საკრედიტო რისკის მართვას ახორციელებს იმ მომხმარებლებზე გაზის მიწოდების დროული შეჩერების გზით, რომლებიც არ იხდიან მოხმარებული ბუნებრივი გაზის დავალიანებას. მაგრამ კომპანიის მომხმარებელთა რაოდენობის და მათი გეოგრაფიული განაწილების გათვალისწინებით, შესაძლებელია იმის დაშვება, რომ ყველა არგადამხდელი მომხმარებლისთვის არ იქნება დროულად შეწყვეტილი გაზის მიწოდება. კომპანია ასევე ემსახურება სოციალური სფეროს მომხმარებლებს, რომელთა მიმართ ბუნებრივი გაზის მიწოდების შეზღუდვას კომპანია ვერ შეძლებს მათი ვალის არასათანადო მომსახურების შემთხვევაშიც კი.

დებიტორული დავალიანების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები. მიუხედავად ამისა ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ ემუქრება მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც გადააჭარბებს დადგენილ რეზერვებს.

საბაზრო რისკი

კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი, ძირითადად შეეხება კომპანიისათვის დადგენილ ტარიფებს და ზემოქმედებას ახდენს შესასყიდი გაზის ფასზე და მომხმარებლებისათვის მიწოდებული გაზის ღირებულებაზე. კომპანიას არ გააჩნია სავალუტო პოზიცია, რომელზეც ზეგავლენა ექნებოდა ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებს. თუმცა, ვალუტის კურსის ცვლილება გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგზე, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მომწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ბუნებრივი გაზის შესასყიდი ფასი დადგენილია უცხოურ ვალუტაში და ასანაზღაურებელი თანხა ეროვნულ ვალუტაში განისაზღვრება მოწოდების თარიღებში არსებული კურსით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო ინსტრუმენტების მეშვეობით. კომპანიას მიმდინარე ვალდებულებები ძირითადად ბუნებრივი გაზის მომწოდებლების მიმართ აქვს. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ბუნებრივი გაზის მომხმარებლებლების მიმართ მოთხოვნის დაუფარაობის შემთხვევაში, მიწოდების დროებით შეჩერების ბერკეტის გამოყენება, კომპანიას საკმარისი მოქნილობას ანიჭებს მისი ვალდებულებების დაფარვის ვადებთან მიმართებით, რაც აუცილებელია ბიზნესში საკმარისი ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად.

ძირითად აქციონერთან (სსიპ თვითმმართველი ერთეული საჩხერის მუნიციპალიტეტი)

ურთიერთობის ანგარიში

ძირითად აქციონერთან კომპანიის მართვის ხელმძღვანელი ორგანო ცდილობს ურთიერთობა აწარმოოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. კომპანიის წესდების, შრომის შინაგანაწესის, კომპანიის საქმიანობის შედეგების შესახებ ხდება ძირითადი აქციონერის ინფორმირება გარკვეული პერიოდულობით.

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

აქციონერის - თვითმმართველი ერთეულის საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 10 ოქტომბრის # ბ 70, 70222293 ბრძანებით დამტკიცებული სს „საჩხერეგაზი“-ს წესდების ახალი რედაქციის ზოგიერთი მუხლის მიმართ კომპანიის ხელმძღვანელ ორგანოს კვლავაც გააჩნია დომინანტი აქციონერისაგან განსხვავებული დამოკიდებულება. წესდების ზოგიერთი მუხლის მიმართ კომპანიის დომინანტი აქციონერის და ხელმძღვანელი ორგანოს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება შეიცავს რისკებს კომპანიის მართვის, სახელფასო პოლიტიკის და შესაბამისად კომპანიის სტაბილური და გამართული ფუნქციონერის შესაძლო შეფერხების კუთხით.

სააქციო საზოგადოება, მისი 50 %-ზე მეტი წილის/აქციების მუნიციპალური მფლობელობიდან გამომდინარე, ექვემდებარება სახელმწიფო შესყიდვების კანონს. ნებისმიერი სახის მატერიალური თუ არამატერიალური ფასეულობა შეძენილია კანონმდებლობით განსაზღვრული მონეტარული ზღვრების ფარგლებში.

სემეკთან ურთიერთობის ანგარიში

კომპანიაში ფასწარმოქმნის, ზოგიერთი ტექნიკური რეგლამენტაციის, ანგარიშგების მომსახურების ხარისხის მონიტორინგის სისტემის უზრუნველყოფა ხდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის მეშვეობით. რიგი გამოწვევების და ფაქტიურად არსებული მდგომარეობებიდან გამომდინარე, 2022 წლის 13 დეკემბრის #67 დადგენილებით კომისიამ განიხილა და კომპანიას დაუდგინდა განაწილების და საყოფაცხოვრებო მომხმარებებისათვის მიწოდების ტარიფები.

სემეკის შესაბამის სტრუქტურებთან კოორდინირებულად მიმდინარეობს წლიური (აუდირებული) კვარტალური და ყოველთვიური ანგარიშგება და მონიტორინგი.

სს „საჩხერეგაზი“-ს გენერალური დირექტორი:

ზაზო ზაბახიძე

23 აპრილი 2024 წ.



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საჩხერეგაზის“ აქციონერებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს „საჩხერეგაზის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „საჩხერეგაზის“ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კონტროლის უფლების მქონე აქციონერისგან 2010-2017 წლებში, სააქციო კაპიტალის გასაზრდელად მიღებული ძირითადი საშუალებების თვითღირებულება აღრიცხულია 5 863 750 ლარის ოდენობით. ვინაიდან აქტივების თავდაპირველი აღიარება განხორციელდა არა გადახდილი ფულის ან სხვა საზღაურის ბაზაზე, მათი ღირებულების საიმედოდ შეფასების საფუძველი უნდა გამხდარიყო სამართლიანი ღირებულება ფასს 2-ის „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“, შესაბამისად. აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ მოვიპოვეთ აღნიშნული ძირითადი საშუალებების საიმედოდ შეფასების მტკიცებულება და ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში. შესაბამისად, ჩვენი აუდიტორული მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არის მოდიფიცირებული.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ სს „საჩხერეგაზისგან“ იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მიხედვით სს

„საჩხერეგაზის“ მიერ მომზადებულ მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც საქმიანობის მიმოხილვის სახით მივიღეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება. ამასთან საქმიანობის მიმოხილვის შესახებ კანონით მოთხოვნილი მოსაზრება წარმოდგენილია წინამდებარე დასკვნის ქვესათაურში - „მოსაზრება სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე.“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს სს „საჩხერეგაზის“ ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიწვეულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სს „საჩხერეგაზის“ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა სს „საჩხერეგაზის“ ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება სს „საჩხერეგაზი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

აუდიტის კომიტეტს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოსაზრება სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კანონის მიხედვით სს „საჩხერეგაზი“ ვალდებულია წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება საქმიანობის მიმოხილვის სახით.

ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ მოსაზრება კანონით განსაზღვრული საქმიანობის ანგარიშის მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხედენილობის თაობაზე.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კანონით განსაზღვრული მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილი შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტორი

რევაზ ძაძამია

24 აპრილი 2024 წ.

Revaz
Dzadzamia
01025004983

Digitally signed
by Revaz
Dzadzamia
Date: 2024.04.24
13:23:27

სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

აქტივები	შენ.	31/12/2023	31/12/2022
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	1,061,718	730,784
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,273,243	1,401,143
მარაგები	7	375,418	378,532
სხვა მიმდინარე აქტივები			
სულ მიმდინარე აქტივები		2,710,379	2,510,459
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	12,700,788	13,084,608
არამატერიალური აქტივები	9	31,407	35,332
სულ გრძელვადიანი აქტივები:		12,732,195	13,119,940
სულ აქტივები		15,442,574	15,630,399
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,461,388	1,215,031
სულ მიმდინარე ვალდებულებები:		1,461,388	1,215,031
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	11	18,840,950	18,840,950
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(4,872,518)	(4,438,337)
რეზერვი	11	12,754	12,754
სულ კაპიტალი		13,981,186	14,415,367
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		15,442,574	15,630,399

გენერალური დირექტორი:

ზაზო ზაბახიძე

ფინანსური დირექტორი

ლალი ცუხიშვილი



სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	შენ.	2023 წ.	2022 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	7,402,295	6,935,852
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(5,468,786)	(4,811,852)
საერთო მოგება:		1,933,509	2,124,000
სხვა შემოსავლები	13	100,730	55,457
განაწილების ხარჯები		(1,975,088)	(1,715,821)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(491,416)	(423,722)
სხვა ხარჯი		(1,916)	(3,591)
საოპერაციო მოგება		(434,181)	36,323
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(434,181)	36,323
მოგების გადასახადი			
პერიოდის მოგება/(ზარალი)		(434,181)	36,323

გენერალური დირექტორი:
ზაზო ზაბახიძე

ფინანსური დირექტორი:
ლალი ცუხიშვილი



სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება/(ზარა ლი)	სხვა რეზერვი	სულ მფლობელთა კაპიტალი
	12		12	
დეკემბერი 31, 2021	18,840,950	(4,474,660)	12,754	14,379,044
ცვლილება +/-				
პერიოდის შედეგი		36,323		36,323
დეკემბერი 31, 2022	18,840,950	(4,438,337)	12,754	14,415,367
ცვლილება +/-				
პერიოდის შედეგი		(434,181)		(434,181)
დეკემბერი 31, 2023	18,840,950	(4,872,518)	12,754	13,981,186

გენერალური დირექტორი:
ზაზო ზაბახიძე

ფინანსური დირექტორი:
ლალი ცუხიშვილი



სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	31/12/2023	31/12/2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(434,181)	36,323
არაფულადი შემოსავლისა და ხარჯების კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	562,544	557,760
საექვო და უიმედო მოთხოვნების ანარიცხები	1,222	13,306
წმინდა ფინანსური (შემოსავლები)/ხარჯები	(71,505)	(42,826)
არაფულადი გადასახადები		26,488
შემოსულობა ძირითადი საშუალების გასვლიდან	(7,750)	(5,900)
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
მარაგების შემცირება (ზრდა)	(3113)	9,790
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა)	127,900	(409,163)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	246,357	192,603
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	421,474	378,381
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(169,413)	(192,650)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	7,750	5,900
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(161,663)	(186,750)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტები	71,123	42,826
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	71,123	42,826
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	330,934	234,457
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	730,784	496,326
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	1,061,718	730,784

გენერალური დირექტორი:
ზაზო ზაზახიძე

ფინანსური დირექტორი:
ლალი ცუხიშვილი



სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შესაფერისი იყო ოპერაციის მნიშვნელობის დონის დასადგენად. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია წარმოადგენს სახელმწიფოსთან დაკავშირებულ სამეურნეო ერთეულს და სსიპ „თვითმმართველი ერთეული საჩხერის მუნიციპალიტეტისა“ და მასთან დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას არ განუხორციელებია ბუნებრივი გაზის მიწოდების გარდა სხვა ოპერაცია, ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად ჩათვალა არ გაამჟღავნოს ინფორმაცია უფრო დეტალურ დონეზე.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელთა გასამრჯელო

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელთა გასამრჯელოს შესახებ მონაცემები ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

	31/12/2023	31/12/2022
მოკლევადიანი გასამრჯელოები	113,454	108,592
სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოები	2,269	2,172
სულ	115,723	110,764

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე არ მომხდარა როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც გამოიწვევდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირებას.

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად ხელმოწერით დაამტკიცა გენერალურმა დირექტორმა 2024 წლის 23 .აპრილს.

სს „საჩხერეგაზი“-ს გენერალური დირექტორი:

ზაზო ზაზახიძე



სს „საჩხერეგაზი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

აქციონერის - თვითმმართველი ერთეულის საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 10 ოქტომბრის # 70, 70222293 ბრძანებით დამტკიცებული სს „საჩხერეგაზი“-ს წესდების ახალი რედაქციის ზოგიერთი მუხლის მიმართ კომპანიის ხელმძღვანელ ორგანოს კვლავაც გააჩნია დომინანტი აქციონერისაგან განსხვავებული დამოკიდებულება. წესდების ზოგიერთი მუხლის მიმართ კომპანიის დომინანტი აქციონერის და ხელმძღვანელი ორგანოს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება შეიცავს რისკებს კომპანიის მართვის, სახელფასო პოლიტიკის და შესაბამისად კომპანიის სტაბილური და გამართული ფუნქციონერის შესაძლო შეფერხების კუთხით.

სააქციო საზოგადოება, მისი 50 %-ზე მეტი წილის/აქციების მუნიციპალური მფლობელობიდან გამომდინარე, ექვემდებარება სახელმწიფო შესყიდვების კანონს. ნებისმიერი სახის მატერიალური თუ არამატერიალური ფასეულობა შეძენილია კანონმდებლობით განსაზღვრული მონეტარული ზღვრების ფარგლებში.

სემეკთან ურთიერთობის ანგარიში

კომპანიაში ფასწარმოქმნის, ზოგიერთი ტექნიკური რეგლამენტაციის, ანგარიშგების მომსახურების ხარისხის მონიტორინგის სისტემის უზრუნველყოფა ხდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის მეშვეობით. რიგი გამოწვევების და ფაქტიურად არსებული მდგომარეობებიდან გამომდინარე, 2022 წლის 13 დეკემბრის #67 კომისიამ განიხილა და კომპანიას დაუდგინდა განაწილების და საყოფაცხოვრებო მომხმარებებისათვის მიწოდების ტარიფები.

სემეკის შესაბამის სტრუქტურებთან კოორდინირებულად მიმდინარეობს წლიური (აუდირებული) კვარტალური და ყოველთვიური ანგარიშგება და მონიტორინგი.

სს „საჩხერეგაზი“-ს გენერალური დირექტორი:

ზაზო ზაბახიძე

23 აპრილი 2024 წ.

